შპს საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა 3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) 6
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)....7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება....8
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები....9
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები....15

MOORE abc, LLC
2, D.Gamrekeli Str.
0160, Tbilisi, Georgia
T +995 32 2 000 123
E info@moore.ge
www.moore-georgia.ge

დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა

შპს ,,საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი''-ს მენეჯმენტს
26 მაისის ქ., №2
საქართველო, ქ. წყალტუბო,

ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიცირება

1. ჩვენ ჩავატარეთ **შპს ,,საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი''-ს** (შემდგომში "კლუბი") თანდართული ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, აგრეთვე საქმიანობის შედეგების, ფულადი სახსრების მოძრაობის და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯების ანგარიშგებებს პერიოდისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

2. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად პასუხისმგებელია კლუბის მენეჯმენტი. მენეჯმენტის პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკების შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებას და სიტუაციისათვის შესაბამისი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

3. ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. მიმოხილვა ჩავატარეთ მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის (ISRE 2400) (განახლებული)-ის შესაბამისად, *„გარიგებები გასული პერიოდების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შესახებ"*. ISRE 2400 (განახლებული) ჩვენგან მოითხოვს მოსაზრების გამოთქმას იმის შესახებ, მიმოხილვის პროცესში მიიქცია თუ არა ყურადღება ისეთმა ფაქტმა, რომელიც ჩვენ დაგვარწმუნებდა, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა ასპექტის გათვალისწინებით არ არის მომზადებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად. გარდა ამისა, ISRE 2400 (განახლებული) ჩვენგან მოითხოვს შესაბამისი ეთიკური მოთხოვნების დაცვას.

   ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა ISRE 2400 (განახლებული)-ის შესაბამისად წარმოადგენს შეზღუდული რწმუნების გარიგებას. აუდიტორი ატარებს პროცედურებს, რომელიც ძირითადად შედგება ორგანიზაციაში მენეჯმენტისა და დანარჩენი პერსონალის გამოკითხვების, ანალიტიკური პროცედურების განხორციელებისა და მოპოვებული მტკიცებულებების შეფასებისაგან.

   მიმოხილვისას ჩატარებული პროცედურები არსებითად ნაკლებია, ვიდრე პროცედურები გათვალისწინებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტორული შემოწმების ფარგლებში. შესაბამისად, ჩვენ არ გავცემთ აუდიტორულ დასკვნას წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მოსაზრების საფუძველი

4. ჩვენ მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ისეთ ფაქტებს, რაც დაგვარწმუნებდა რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის, შენიშვნა 2-ში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

5. თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 3-ზე - „გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო“, სადაც აღწერილია რომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის, საფეხბურთო კლუბისათვის არ არის ცნობილი 2025 წლის შემდგომ დამტკიცებული კლუბების დაფინანსებასთან დაკავშირებული სახელმწიფო პროგრამის შესახებ. კლუბის დაფინანსება დამოკიდებულია ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიღებულ დაფინანსებაზე. გარდა ამისა, 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, კლუბმა განიცადა მნიშვნელოვანი საოპერაციო ზარალი. ეს მოვლენები და გარემოებები მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კლუბის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

   თუმცა აღსანიშნავია რომ, როგორც ეს მოცემულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 3-ში კლუბის ამჟამინდელი 100%-იანი მესაკუთრე - მიხეილ იაშვილი აგრძელებს კლუბის დაფინანსებას და უზრუნველყოფს კლუბს ფინანსური კუთხით.

   ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და ანგარიშის გავრცელების და გამოყენების შეზღუდვა

6. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის, თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ზე, სადაც აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი. ჩვენი ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ კლუბისთვის, კლუბის დამფუძნებლისთვის, ფეხბურთის განვითარების ფონდისთვის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის და არ შეიძლება გავრცელება ან გამოყენება სხვა მხარის მიერ, გარდა, კლუბის, კლუბის დამფუძნებლის, ფეხბურთის განვითარების ფონდის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა.

სოფიო აბაიაძე / პარტნიორი / სერტიფიცირებული აუდიტორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-417263

7 ოქტომბერი, 2025 წელი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

შენიშვნა:

ფედერაციის მიერ მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმაში ფიქსირდება ხარვეზი, კერძოდ: 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით საბალანსო უწყისში ავტომატური მილინკვის ფუნქციით, 81-ე სტრიქონში არ გადმოდის პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა მოგება-ზარალის უწყისიდან და შესაბამისად 88-ე სტრიქონში ფორმულა წერს FALSE-ს რომელიც რეალობას არ შეესაბამება.

კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა

საბალანსო უწყისი

[31 აგვისტო / ეროვნული ლიცენზირება]

ლიცენზიის მაძიებელი:

შპს საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი

საბალანსო უწყისი	მიმდინარე წელი 31.08.T	ანგარიშგების წელი 31.08.T-1	ანგარიშგების წელი 31.12.T-1 (აუდიტირ.)
	2025	2024	2024
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სასხსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	12,580.76	8,123.75	364,933.20
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება		235,000.00	
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება	2,749.45	2,749.45	40,679.57
სხვა დებიტორული დავალიანება			
საგადასახადო აქტივები	252.54	4,836.99	125.42
მატერიალური მარაგები	1,356.00	1,098.00	1,273.00
სხვა მიმდინარე აქტივები	**16,938.75**	**251,808.19**	**407,011.19**
მთლიანი მიმდინარე აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	142,238.43	165,391.70	154,902.76
არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები		2,425.48	
არამატერიალური აქტივები - სხვა			
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება			
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება	4,085.18		
საგადასახადო აქტივები			
ინვესტიციები			
სხვა გრძელვადიანი აქტივები	**146,323.61**	**167,817.18**	**154,902.76**
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები			
მთლიანი აქტივები	163,262.36	419,625.37	561,913.95
მიმდინარე ვალდებულებები			
ბანკის ოვერდრაფტები			705,000.00
ბანკის და სხვა სესხები			
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება			
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება	583,648.24	254,771.20	238,166.65
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		6,682.19	17,395.14
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება	657.74	2,249.08	
დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი			
მოკლევადიანი ანარიცხები	189,820.15	184,966.28	115,092.99
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	**774,126.13**	**448,668.75**	**1,075,654.78**
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის და სხვა სესხები			
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება			
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები			
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები			
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება			
სხვა საგადასახადო ვალდებულებები			
გრძელვადიანი ანარიცხები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	15,067.44		
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	**15,067.44**	-	-
სულ ვალდებულებები	789,193.57	448,668.75	1,075,654.78
მთლიანი აქტივები / (ვალდებულებები)	(625,931.21)	(29,043.38)	(513,740.83)
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო/საწესდებო კაპიტალი	5,840,083.68	4,896,083.68	5,049,083.68
გაუნაწილებელი მოგება	(6,466,014.89)	(4,925,127.06)	(5,562,824.51)
სხვა რეზერვები			
მთლიანი საკუთარი კაპიტალი	**(625,931.21)**	**(29,043.38)**	**(513,740.83)**
მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები	163,262.36	419,625.37	561,913.95
კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები)	TRUE	TRUE	TRUE
მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება			
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი	(513,740.83)	(160,568.79)	(160,568.79)
პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ	(903,190.38)	(475,674.59)	(1,113,372.04)
კაპიტალის გაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში	791,000.00	607,200.00	760,200.00
ცვლილება გადაფასების რეზერვში			
სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში			
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი	(625,931.21)	(29,043.38)	(513,740.83)
შემოწმება	TRUE	TRUE	TRUE

მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები

თ. ფესტვენი

კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა

საბალანსო უწყისი

[31 აგვისტო / ეროვნული ლიცენზირება]

ლიცენზიის მაძიებელი:

შპს საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი

საბალანსო უწყისი	მიმდინარე წელი 31.08.T	ანგარიშგების წელი 31.08.T-1	ანგარიშგების წელი 31.12.T-1 (აუდიტირ.)
	2025	2024	2024
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში		34,112.18	34,112.18
პერიოდის განმავლობაში გაწეული დანახარჯი			
დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად		(22,362.98)	(22,362.98)
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს	-	11,749.20	11,749.20
მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია			
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში	-	-	11,749.20
პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა			
დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად	-	-	-
გაუფასურების ანარიცხები პერიოდში	-	-	11,749.20
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს			
ნეტო საბალანსო ღირებულება	-	34,112.18	34,112.18
პერიოდის დასაწყისში	-	11,749.20	-
პერიოდის ბოლოს	TRUE	FALSE	TRUE
შემოწმება			

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის: 07.10.2025

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა): აღმასრულებელი დირექტორი თედო ფესტვენიძე თარიღი: 07.10.2025

თ. ფესტვენიძე

შპს საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი LTD • FC TSKALTUBO SAMGURALI

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

მოგება-ზარალის უწყისი

[31 აგვისტო / ეროვნული ლიცენზირება]

ლიცენზიის მაძიებელი:

შპს საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი

მოგება-ზარალის უწყისი	მიმდინარე წელი 31.08.T	ანგარიშგების წელი 31.08.T-1	ანგარიშგების წელი 31.12.T-1 (აუდიტირ.)
	2025	2024	2024
ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები	1,281.15		
ამონაგები ბილეთებიდან - უეფას შეჯიბრებები			
ამონაგები ბილეთებიდან - აბონემენტები			
ამონაგები ბილეთებიდან - საწევროები			
ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი			
სულ ამონაგები ბილეთებიდან	**1,281.15**	**-**	**-**
სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი			
სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი	280,833.06	437,200.84	460,808.47
სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი			
სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე	10,169.52	8,898.33	135,254.27
სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი			
სულ სპონსორობა და რეკლამა	**291,002.58**	**446,099.17**	**596,062.74**
ტელეტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები			
ტელეტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი			
სულ ტრანსლაციის უფლებები	**-**	**-**	**-**
კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები			
კომერციული - საქონლის გაყიდვა			
კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატჩო დღეებში			
კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	36,696.64	292,697.64	344,351.59
სულ კომერციული	**36,696.64**	**292,697.64**	**344,351.59**
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები			
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი	801,904.70	252,047.70	252,047.70
უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი			
სულ უეფას სოლიდარობის და საპრიზო თანხა	**801,904.70**	**252,047.70**	**252,047.70**
სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან			
სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან	1,258,531.00	1,289,153.00	1,896,939.78
შემოწირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან			
შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან			
შემოსავალი არასაფეხბურთო საქმიანობებიდან			
განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი			
სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი		1,571.00	1,571.00
სულ სხვა შემოსავალი	**1,258,531.00**	**1,290,724.00**	**1,898,510.78**
სულ შემოსავალი	**2,389,416.07**	**2,281,568.51**	**3,090,972.81**
რეალიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი		(22,362.98)	(22,362.98)
სულ ხარჯები რეალიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე	**-**	**(22,362.98)**	**(22,362.98)**
ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება	(1,291,527.85)	(1,042,736.86)	(1,631,579.93)
ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(290,614.51)	(277,994.14)	(435,140.51)
ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი	(161,341.68)	(128,399.37)	(189,389.61)
სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები	**(1,743,484.04)**	**(1,449,130.37)**	**(2,256,110.05)**
სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება	(725,218.27)	(549,355.86)	(862,844.49)
სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(153,244.32)	(146,372.47)	(229,398.01)
სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი	(15,004.59)	(13,233.51)	(33,186.89)
სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	**(893,467.18)**	**(708,961.84)**	**(1,125,429.39)**
თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არა არის გამოყოფილი			
სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	**(2,636,951.22)**	**(2,158,092.21)**	**(3,381,539.44)**
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(21,738.91)	(18,957.46)	(29,636.23)
სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა)			
ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება			
სულ ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციებისა)	**(21,738.91)**	**(18,957.46)**	**(29,636.23)**
მატჩის დღის ხარჯები	(29,630.67)	(23,374.19)	(40,584.80)
სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები	(3,903.06)	(5,626.29)	(8,644.93)
კომერციული აქტივობების ხარჯები			
უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები	(11,000.00)	(7,314.83)	(7,314.83)
არასაფეხბურთო საქმიანობების ხარჯები			
განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები			
სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	(600,795.97)	(537,585.94)	(733,365.92)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	**(645,329.70)**	**(573,901.25)**	**(789,910.48)**
სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)	**(3,304,019.83)**	**(2,773,313.90)**	**(4,223,449.13)**

მოგება-ზარალის უწყისი

[31 აგვისტო / ეროვნული ლიცენზირება]

ლიცენზიის მაძიებელი:

შპს საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი

მოგება-ზარალის უწყისი	მიმდინარე წელი 31.08.T	ანგარიშგების წელი 31.08.T-1	ანგარიშგების წელი 31.12.T-1 (აუდიტირ.)
	2025	2024	2024
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		(9,323.72)	(11,749.20)
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაცია)			
მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)			
ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)			
წმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვებიდან	-	**(9,323.72)**	**(11,749.20)**
კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით			
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/გასვლიდან			
მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან	-	-	-
სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან			
ფინანსური შემოსავალი	(28,726.15)	(1,833.90)	(1,833.90)
ფინანსური ხარჯი	**(28,726.15)**	**(1,833.90)**	**(1,833.90)**
წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)			
სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)	43,195.45	32,264.55	37,785.46
სხვა ხარჯი (არასაოპერაციო)	(3,055.92)	(5,036.13)	(5,098.08)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)	**40,139.53**	**27,228.42**	**32,687.38**
საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი)			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ	(903,190.38)	(475,674.59)	(1,113,372.04)
დივიდენდები			
მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდეგ	(903,190.38)	(475,674.59)	(1,113,372.04)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის: 07.10.2025

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):
აღმასრულებელი დირექტორი თედო ფესტვენიძე თარიღი: 07.10.2025

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

[31 აგვისტო / ეროვნული ლიცენზირება]

ლიცენზიის მაძებელი:

შპს საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	მიმდინარე წელი 31.08.T	ანგარიშგების წელი 31.08.T-1	ანგარიშგების წელი 31.12.T-1 (აუდიტირ.)
	2025	2024	2024
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	(399,098.29)	(562,730.68)	(1,343,566.23)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		206,402.60	292,652.71
მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები			(41,381.11)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	(10,528.00)	(25,615.89)	(25,839.89)
ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები			
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი			
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან	**(10,528.00)**	**180,786.71**	**225,431.71**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე		255,000.00	960,000.00
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე		(256,833.90)	(256,833.90)
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები	(733,726.15)	306,000.00	694,000.00
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები	791,000.00		
საკუთრების/საწესდებო კაპიტალის გაზრდით მიღებული ფულადი სახსრები			
(გადახდილი) ფულადი სახსრები მეწილეებისთვის/აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდიდან			
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი			
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან	**57,273.85**	**304,166.10**	**1,397,166.10**
სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა)			
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საანგარიშგებო პერიოდში	(352,352.44)	(77,777.87)	279,031.58
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილაცია			
საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი	364,933.20	85,901.62	85,901.62
წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	(352,352.44)	(77,777.87)	279,031.58
საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი	12,580.76	8,123.75	364,933.20
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოვერდრაფტები (საბალანსო უწყისიდან)	12,580.76	8,123.75	364,933.20

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის: 07.10.2025

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა): აღმასრულებელი დირექტორი თედო ფესტვენიძე თარიღი: 07.10.2025

შპს საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი FC TSKALTUBO SAMGURALI LTD

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შენიშვნა 1: კლუბის შესახებ

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს "საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალის" (შემდგომში „კლუბი“) ფინანსურ ინფორმაციას, როგორც ეს მოთხოვნილია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2020 წლის დებულებების „კლუბების ლიცენზირების დებულებები საქართველოს ჩემპიონატის ეროვნული ლიგაში და ეროვნული ლიგა 2-ში, ლიგა 3-სა და ქალთა ლიგაში მონაწილეობისთვის“ ფინანსურ კრიტერიუმებში.

შპს "საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი" (ს/კ 421277175) წარმოადგენს ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი სამგურალის (ს/კ 421268014) ბაზაზე, ქ.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობით 2019 წლის 8 ივლისს (ბრძნება N 119) დაფუძნებულ საზოგადოებას. საზოგადოების შექმნის მიზანი იყო მისი რეალიზაცია პირობიანი აუქციონის წესით.

ქალაქ წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა პირობიანი აუქციონის წესით გაასხვისა შპს საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალის 100%-იანი წილი ინვესტორზე - ბატონ მიხეილ იაშვილზე (პ/ნ 01024002770), რომელთანაც 2020 წლის 18 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება N 1, კლუბის საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

კლუბის იურიდიული მისამართია: ქ წყალტუბო, 26 მაისის N2. კლუბის აღმასრულებელი დირექტორია თედო ფესტვენიძე. კლუბის 100%-იანი წილი მფლობელი და პრეზიდენტი მიხეილ იაშვილი (პ/ნ 01024002770).

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა

- **მომზადების საფუძველი**

კლუბი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისად. წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ამ ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე და საჭიროებისამებრ კორექტირებულია იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) აღიარების, შეფასების და წარდგენის პრინციპები და მოთხოვნები.

წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ყველა იმ ახსნა-განმარტებით შენიშვნას, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილი ყოფილიყო ფასს-ის მიხედვით.

წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვისა და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

- **ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა**

ორგანიზაციის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

- **უცხოური ვალუტის გადაფასება**

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2025 წლის 31 აგვისტოსთვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	31აგვისტო, 2025	31აგვისტო, 2024
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.6946	2.6911
ლარი / 1 ევრო	3.1438	2.9809

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- **ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში არსებული ფულადი სახსრებისგან.

- **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები მოცემულია - ისტორიული ღირებულებას გამოკლებული ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე შედეგის განსაზღვრისას. ძირითადი საშუალებების მომსახურების ხარჯები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხარჯების გაწევის მომენტში.

- **შემოსავალი და დარიცხვები**

კლუბის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: შემოსავალი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან, შემოსავალი ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან, შემოწირულობები, შემოსავალი სპონსორობიდან და სხვა შემოსავლები;

დაფინანსება / სუბსიდია - სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან აღიარდება საკასო მეთოდით.

შემოწირულობა - შემოწირულობის სახით მიღებული ფულადი აქტივი შემოსავლად აღიარდება მისი მიღებისთანავე;

სხვა შემოსავალი - სხვა შემოსავალი აღიარდება მაშინ როდესაც ის მისაღები გახდება გაწეული მომსახურების შედეგად;

შენიშვნა 3. გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის, კლუბისთვის არ არის ცნობილი 2025 წლის შემდგომ დამტკიცებული ქართული ფეხბურთის განვითარების პროგრამის შესახებ.

მიუხედავად დამტკიცებული ქართული ფეხბურთის განვითარების პროგრამის არ არსებობისა, კლუბი დარწმუნებულია რომ გააგრძელებს საქმიანობას როგორც ფუნციონირებადი საწარმო. კლუბის ამჟამინდელი 100%-იანი მესაკუთრე - მიხეილ იაშვილი აგრძელებს კლუბის დაფინანსებას და უზრუნველყოფს კლუბს ფინანსური კუთხით. 2025 წლის 31 აგვისტომდე კლუბის დამფუძნებელს კაპიტალში შეტანილი აქვს თანხა 791,000 ლარის ოდენობით, ხოლო 01 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე გეგმავს კაპიტალში შენატანის სახით განახორციელოს 1,600,000 ლარის ოდენობით თანხის ჩარიცხვა ან შესაბამისი ოდენობის სპონსორის მოზიდვა. ასევე 2026 წელსაც კაპიტალში შენატანის სახით განახორციელოს 4,520,000 ლარის ოდენობით თანხის ჩარიცხვა ან შესაბამისი ოდენობის სპონსორების მოზიდვა.

შენიშვნა 4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საფეხბურთო კლუბის საბანკო ანგარიშზე არსებული ფულის ნაშთს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. (2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შეადგენს 12,581 ლარს, ხოლო 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით შეადგენდა 8,124 ლარს)

შენიშვნა 5 ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება

ჯგუფის საწარმოებსა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება მოიცავს დამფუძნებლის მიმართ მოთხოვნას კაპიტალში შენატანზე. 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კლუბს აღნიშნული მოთხოვნა არ გააჩნია; 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით 235,000 ლარის ოდენობით რომლის შეტანაც განხორციელდა 2024 წლის 5 სექტემბერს.

შენიშვნა 6. საგადასახადო აქტივი / ვალდებულება

2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეოიბთ კლუბის საგადასახადო აქტივი შეადგენს 4,085 ლარს. 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კლუბის საგადასახდო ვალდებულება შეადგენს 6,682 ლარს.

საპენსიო სქემა - 2018 წლის 21 ივნისს საქართველომ მიიღო კანონი საპენსიო ფონდის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან. დაგროვებითი საპენსიო სქემა 6%-იან შენატანს ითვალისწინებს. კერძოდ, დასაქმებული თავისი დასაბეგრი ხელფასის 2%-ს გადარიცხავს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, დამსაქმებელი ასევე გადარიცხავს დამატებით 2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაირიცხება კიდევ 2%, როგორც დამსაქმებელი, ორგანიზაცია გადარიცხავს 2%-ს თავის მხრივ და ეს გადასახადები მოცემულია 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შენიშვნა 7. უზუფრუქტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 01 დეკემბერს #311764 ბრძანების საფუძველზე, მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი სამგურალ“-ს შორის 2016 წლის 01 დეკემბერს დადებული #40 ხელშეკრულებისა და ამავე თარიღით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, საფეხბურთო კლუბს უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაეცა #29.08.32.309 #29.08.32.150 და #29.08.32.004 საკადასტრო კოდებზე მდებარე არასასოფლო სამურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები შესაბამისად 124,000; 3,073 და 2,450 კვ.მ. ოდენობით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 14 თებერვალს #31369 ბრძანების საფუძველზე, მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი სამგურალ“-ს შორის 15 თებერვალს დადებული #2 ხელშეკრულებისა და ამავე თარიღით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით საფეხბურთო კლუბს უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაეცა ქალაქ წყალტუბოში, 26 მაისის ქ. #2-ში მდებარე 27,000 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი #29.08.32.005) და მასზე განთავსებული #1- საერთო ფართი 348.5 კვ მეტრი, #2 და #3 შენობა- ნაგებობა (ცენტრალური საფეხბურთო მოედანი, ოფისისა და სხვა შენობა ნაგებობები).

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 23 ივლისს #31/4255 თანხმობის წერილით, ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი სამგურალ“-ს ნება დართო შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-სთვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაეცა ქალაქ წყალტუბოში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე 27,000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები #1/1 საერთო ფართით 348.5 კვ.მეტრი, #2/1 და #2/3 (საკადასტრო კოდი 29.08.32.005) და ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ არსებული 12,400 კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ხელოვნურ საფარი სათადარიგო სტადიონი (საკადასტრო კოდი #29.08.32.309). რაც 2019 წლის 24 ივლისს ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი სამგურალსა“ და შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალ“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და მიღება- ჩაბარების აქტის თანხამად ფაქტობრივად განხორციელდა.

შენიშვნა 8. ძირითადი საშუალებები

2025 წლის 31 აგვისტოსათვის ძირითადი საშუალებები მოიცავს 142,238 ლარის საბალანსო ღირებულების ინვენტარისა და ავეჯის ნაშთებს (2024 წლის 31 აგვისტო: 165,392 ლარი).

შენიშვნა 9. ვალდებულება თანამშრომლების მიმართ

ვალდებულება თანამშრომლების მიმართ მოიცავს 2025 წლის აგვისტოს თვის ხელფასს (583,648 ლარი), რომელიც დარიცხულია 2025 წლის აგვისტოში თუმცა გადახდილია 2025 წლის სექტემბრის თვეში. 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით - 254,771 ლარი

შენიშვნა 10. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

2025 წლის 31 აგვისტოსათვის სხვა მიმდინარე ვალდებულებები (189,820 ლარი) მოიცავს მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ დავალიანებასა და ვალდებულებას ფედერაციისადმი (2024 წლის 31 აგვისტოსათვის: 184,966 ლარი).

შენიშვნა 11. სააქციო/საწესდებო კაპიტალი

2025 წლის 31 აგვისტოს მდომარეობით სააქციო/საწესდებო კაპიტალი შეადგენს 5,840,084 ლარს, დამფუძნებლის მიერ კაპიტალში შენატანის სახით კლუბმა მიიღო 791,000 ლარი.

2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კლუბს გააჩნია წმინდა ვალდებულების პოზიცია, რომელიც შეადგენს 625,931 ლარს, რომელიც 2024 წლის 31 აგვისტოსთან მიმართებაში გაუარესდა 95.0%-თ. 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კლუბის წმინდა ვალდებულების პოზიცია შეადგენდა 29,043.38 ლარს.

2024 წლის 31 აგვისტოს მდომარეობით სააქციო/საწესდებო კაპიტალი შეადგენს 4,896,084 ლარს, დამფუძნებლის მიერ კაპიტალში განცხადებული შენატანის სახით კლუბმა მიიღო 607,200 ლარი, რომლიდანაც განაღდებულმა კაპიტალმა შეადგინა 372,000 ლარი, ხოლო გაუნაღდებელმა კაპიტალმა 235,200 ლარი.

შენიშვნა 12. სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი

სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი მოიცავს სს ჰალიკ ბანკის მიერ სპონსორობის სახით კლუბისთვის გადახდილ თანხას.

შენიშვნა 13. კომერციული - სხვა, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

კომერციული - სხვა, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი - მოცემული მუხლი მოიცავს ტრანსფერებიდან და კომპენსაციებიდან მიღებულ შემოსავალს.

შენიშვნა 14. უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდაროზის გადასახადი

უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდაროზის გადასახადი - მოცემული მუხლი მოიცავს უეფას მიერ ახალგაზრდული გუნდის დაფინანსებისთვის ჩარიცხულ თანხებს.

შენიშვნა 15. სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან

სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან მოიცავს ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიღებულ დაფინანსებას.

შენიშვნა 16. ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება

ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება შედგება ფეხბურთელების ანაზღაურებისა და პრემიისგან.

შენიშვნა 17. ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები

ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები მოიცავს ფეხბურთელების ხელფასთან და პრემიასთან დაკავშირებულ საშემოსავლო და საპენსიო გადასახადს.

შენიშვნა 18. ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი

ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი (მოიცავს ფეხბურთელების კვების, დაზღვევის, სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების, საშუალავლო მომსახურების ხარჯებსა და საპენსიო გადასახადის კლუბის წილ 2%-ს.

შენიშვნა 19. სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება

სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება მოიცავს წლის განმავლობაში სხვა პერსონალზე ხელზე გაცემულ ხელფასს და პრემიას.

შენიშვნა 20. სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები

ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები მოიცავს სხვა პერსონალის ხელფასთან და პრემიასთან დაკავშირებულ საშემოსავლო და საპენსიო გადასახადს.

შენიშვნა 21. სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი

სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი მოიცავს სწავლა-გადამზადებისა და საპენსიო შენატანის კლუბის წილ 2%-ს.

შენიშვნა 22. მატჩის დღის ხარჯი

მატჩის დღის ხარჯი მოიცავს - სასწრაფოს მომსახურების, სახანძროს მომსახურების, დაცვის მომსახურების და წარმომადგენლობით ხარჯების მატჩის დღეს.

შენიშვნა 23. სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი მოიცავს ოფისის, მივლინების (მათ შორის სასტუმრო და ტრანსპორტირება) ხარჯებს, აუდიტისა და ბანკის მომსახურებას, ფოსტისა და სახელმწიფო სერვისების მომსახურებას, სპორტული ინვენტარის და ეკიპირების, საწევროს, საიტის, საწვავის, ლიცენზიისა და ჯარიმის, რემონტისა და სხვა აუცილებელ ხარჯებს.

შენიშვნა 24. სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)

სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო) მოიცავს უსასყიდლოდ სპორტ სკოლის სწავლების საფასურიდან მიღებულ შემოსავალს.

შენიშვნა 25: ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

2025 წლის 31 აგვისტოს დასრულებული პერიოდისათვის კლუბი არ ყოფილა ჩართული რაიმე ტიპის სასამართლო დავაში.

შენიშვნა 26: ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საქმიანობის ნორმალურ პირობებში კლუბი ტრანზაქციებს ახორციელებს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან. ზოგადად, მხარები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით დეტალები ქვემოთ მოცემულ ცხრილებშია წარმოდგენილი.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (31.08.2025)	სხვა მოთხოვნები	კაპიტალში შენატანი
100% წილის მფლობელი		

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (01.01.2025-31.08.2025)	ხელფასის ხარჯი	შემოსავალი	ხარჯი
დირექტორი			
სხვა დაკავშირებული მხარეები			

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (31.08.2024)	სხვა მოთხოვნები	კაპიტალში შენატანი
100% წილის მფლობელი	235,000	607,200

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (01.01.2024-31.08.2024)	ხელფასის ხარჯი	შემოსავალი	ხარჯი
დირექტორი	36,765	-	397
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-	-

შენიშვნა 27: საანგარიშგებო პერიოდის შემგომი მოვლენები

2025 წლის 31 აგვისტოს შემდგომ პერიოდში,კლუბის კაპიტალი 100% წილის მფლობელის მიერ შენატანით გაიზარდა 270,000 ლარის ოდენობით;

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა

აფგ პროგრამის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი

[31 აგვისტო / ეროვნული ლიცენზირება]

ლიცენზიის მაძებელი:

შპს საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი

ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი	მიმდინარე წელი 31.08.T	ანგარიშგების წელი 31.08.T-1	ანგარიშგების წელი 31.12.T-1 (აუდიტირ.)	კომენტარი
ხარჯები				
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები, იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც სრულად არიან ჩართული ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში	191,558.68	151,651.36	227,195.24	
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (18-წლამდე)	23,959.68	2,811.29	37,062.64	
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (19-დან 21-წლამდე)	202,320.27	72,185.42	68,449.18	
საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის ხარჯები (ფეხბურთელების საცხოვრებელი , სასტუმროები და სხვ.)				
სამედიცინო დანახარჯები (სამედიცინო მომსახურება, რეაბილიტაცია, ვიტამინიზაცია)				
აფგ პროგრამაში ჩართულ პირთა (მწვრთნელები, ფეხბურთელები) სწავლის გადასახადი		4,000.00	4,800.00	
აფგ პროგრამით გათვალისწინებული მივლინებები (ტრანსპორტირების ჩათვლით)	37,572.00	38,108.50	10,900.00	
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სადღეღამისო დანახარჯები				
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სპორტული ფორმა, ეკიპირება და ინვენტარი				
აფგ პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ხარჯი (ახალგაზრდული გუნდების სავარჯიშო და სათამაშო სტადიონი და/ან ბაზა - მშენებლობა / მოვლა / ქირა; ოფისის კომუნალური გადასახადები / ქირა)	10,000.00	8,200.00	8,200.00	
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების ტურნირებში მონაწილეობის გადასახადი	400.00			
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების საქმიანობაზე უშუალოდ მისაკუთვნებელი სხვა დანახარჯები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში! (მაგ.: ოპერატორი და სხვ.)	31,025.00	38,920.00	101,139.10	საწევრო-20000, სასწრაფო - 11025
სულ აფგ პროგრამის ხარჯები	496,835.63	315,876.57	457,746.16	
შემოსავლები				
უშუალოდ აფგ პროგრამის მთლიანი შემოსავალი (სწავლებისა საფასური, საწევროები და ა.შ.)		1,571.00	1,571.00	
უეფადან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის	801,904.70	252,047.70	252,047.70	
სფფ-დან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის				
სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის				
ახალგაზრდული ფეხბურთისთვის მისაკუთვნებელი სხვა შემოსავლები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში!		63,000.00	205,000.00	
უშუალოდ აფგ პროგრამისთვის მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	**801,904.70**	**316,618.70**	**458,618.70**	
წმინდა შედეგი	**305,069.07**	**742.13**	**872.54**	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კატეგორიის მაძიებელი იურიდიული ერთეულის უფლებამოსილი პირის მიერ:

უფლებამოსილი პირი: აღმასრულებელი დირექტორი თედო ფესტვენიძე

თარიღი: 07.10.2025

ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია აუდიტორული კომპანიის მიერ:

აუდიტორული კომპანია: შპს მოორ ეიბისი

უფლებამოსილი წარმომადგენელი: სოფო აბაიაძე

თარიღი: 07.10.2025

თ. ფესტვენიძე

- დოკუმენტის დასასრული -